



№ 253 (4247)

1970 წ.

დეკემბერი. კვირა, შანი 8 აკა.

სამ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканской Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1984 წლის 18 აპრილიდან


თავი ისახელოს

გურჯაანის რეზერვუარში ფიზიკულ კულტურის კოლეჯში "ვალდებულ და გადაჭარბებით შესარულეს ფიზიკულურისა და სპორტის განვითარების 1970 წლის გეგმა-ვალდებულება.

თანრიგონების, მშთ და „შვად ვარ სამშობლოს დასაცავად“ კომპლექსების ნიშნისათვის, საზოგადოებრივი ფიზიკულურული კადრების მომზადების გეგმა-ვალდებულებები იხ განაღდებაში თავი ისახელეს „განთიადმა“, „კოლმეურნემა“, განთილების განყოფილება იხ სკოლებმა, სპორტსკოლაში, „შრომითი რევერების“ ველი-სციხის № 18 პროფტექნიკურმა სასწავლებელმა.

თანრიგონების, ნიშნისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადება გრძელდება.

ა. ჰუშულაშვილი,
გურჯაანის რაიონის ფიზიკულურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.



ორთაბრძოლა მაინც არ შედგა

კოლუმბუსში მსოფლიო ჩემპიონატში მოსპარევე ფორმილოგრადელ ძალისა და კილიაგის ისეთი მარცხი მოუვიდა, რომლის შემდეგ ათლეტს რამდენადმე მალალ შედეგს ვეღარ მოსთხოვ. ამის მიუხედავად, დნეპროპეტროვსკში სსრ კავშირის თასისთვის ბრძოლისას მან არამცოტე გაიმარჯვა, არამედ ქვემომე წონის მესამე ათლეტი გახდა მსოფლიოში, რომელმაც სამჭიდში 527,5 კგ დააგროვა. ეს შედეგი მის პირად მიღწევას 17,5 კგ-ით აღემატება და უკრაინის ასალი რეკორდია.

მაგრამ დაუბრუნდეთ კოლუმბუსს. იქ კილიაგის პირველივე მოძრაობაში — აჭიმვაში მოეცარა ხელი: სამივე ცდა უნაყოფო გამოდგა და ათლეტი იძულებული შეიქნა ასპარეზობას დამშვიდობებოდა.

დნეპროპეტროვსკში მან ძალიან იოლად დასძლია 185 კგ. ეს 15 კგ-ით მეტია იმ საბელსწრო წონაზე, კოლუმბუსში ასეთი ცუდი სამსახური რომ გაუწია საბჭოთა ათლეტს. კილიაგე არც სხვა მოძრაობებში ასპარეზობდა ურიოდ და მისი გამარჯვება საესებით დამსახურებულია.

სამაგიეროდ, ბერნისთვის მოულოდნელად II ადგილზე გავიდა კოლუმბუსის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი სამუალი წონაში, შახტელი დ. რიგერტი. ეს მისი დებიუტი იყო ამ წონაში და, უნდა ითქვას, სასებნით დამაჯერებელიც: სულ რაღაც სამ თვეში ათლეტმა პირად რეკორდს 32,5 კგ დაუმატა! რიგერტმა 515 კგ დააგროვა. 23 წლის ათლეტის მწვრთნელს, წარსულში ცნობილ ძალისა და ტოიის ოლიმპიადის ჩემპიონ რ. პლიუსკულდერს მიანიჭა, რომ რიგერტი სულ მალე მსოფლიოში ტოლს არ დაუდებს არავის. ეს საესებით შეიძლება ირწმუნო, ვინაიდან რიგერტმა ახლან მსოფლიო რეკორდი დაამყარა ატაკში — 152 კგ.

ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა 29 წლის ოსტოვის არმიელ ნ. სორთშაგეს — 505 კგ.

„500-ანთა კლუბის“ წევრი გახდა IV ადგილზე გასული 32 წლის რიგელი გ. პერკონი (500 კგ).

ამ დღეს ოთხმა ათლეტმა 500 და მეტი კგ დააგროვა, რაც უჩვეულო მოვლენაა საკავშირო შეჯიბრებში.

მომე წონის ათლეტთა შორის მოუთმენლად ელოდნენ ი. ტალტისა და ვ. იაკუბოვსკის ორთაბრძოლას, თუმცა სხვებსაც შეეძლოთ კორექტივების შეტანა საპირისო ადგილების განაწილებაში. ტალტისა და იაკუბოვსკის ორთაბრძოლა განსაკუთრებულ ინტერესს იმით მოიწვევდა, რომ ეს ათლეტები დაუსწრებლად იბრძოდნენ მსოფლიო რეკორდისთვის. და ბი, ხელსაყრელი მომენტიც დადგა მათი პირისპირ სასპარეზოდ. მაგრამ, სამწუხაროდ, ძალისობის გულშემატკივართ იმედი გაუტრუვდათ: ტალტის ვერ ჩავიდა დნეპროპეტროვსკში.

23 წლის მოსკოველმა იაკუბოვსკიმ 545 კგ დააგროვა და ოქროს მეციერ მედალი მოიხვეჭა. II ადგილზეა 29 წლის რიგელი კ. პუმპურინი — 540 კგ. რიგელი პირველად გამოვიდა ამ წონაში და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შესრულა, ამასთან, 32,5 კგ-ით გააუმჯობესა პირადი რეკორდი.

III ადგილი ხვდა საკავშირო ფიცარნაგის დებიუტანტს, 23 წლის სტინინგარდელ კ. პერგუნინს — 527,5 კგ. ასეთივე შედეგები მჭიდნათ უკრაინელს ი. იაბლონოვსკის და ი. თონიჩესოს, მაგრამ ისინი მეტოქეზე მძიმე იყვნენ. უხერხოდ გამოვიდა ქართველი ძალისა ი. ჯეგელავა, რომელმაც სულ ახლან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შესარულა.

უ. გულიაშვილი — ფალაპანი

გამორჩენილი ქართველი ფალაპანის სანდრო კანდელაკის სსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკის აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელიც ამ დღეებში თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა, მონაწილეთა რაოდენობით სარეკორდო იყო. 27 რჩეული ათლეტი იბრძოდა გარდამავალი ჭიდაობისთვის, რომელიც ამიერიდან ყოველი წლის დეკემბერში გათამაშდება. აქ იყვნენ თბილისელი, კასპელი, თელაველი, გორელი, ქუთაისელი, ლავთიხელი, ცხინვალელი, სამტრედიელი და დუშეთელი ფალაპანები.

მონაწილენი თავდაპირველად ორ ჯგუფად განაწილდნენ. შემდგომ ჯგუფებში გამარჯვებულებმა საპირისო ადგილები გაითამაშეს. პირველ ჯგუფში უძლიერესის სახელი თბილისელმა ო. შაშვიაშვილმა მოიპოვა. II ადგილი წილად ხვდა თელაველ თ. წითელაურს. მეორე ჯგუფში საუკეთესო იყო თბილისელი შ. გულიაშვილი. კასპელმა ბ. მალაქიძემ მასთან გადამწყვეტი ბრძოლა წაგო და II ადგილი დაიკავტრა.

ტურნირის მეორე ეტაპი ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. ნახევარფინალებში მალაქიძემ წმინდად მოუგო შაშვიაშვილს, ხოლო გულიაშვილმა ქულეებით სძლია წითელაურს.

და აი, გადამწყვეტ შეჯიბრებაში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ გულიაშვილი და მალაქიძე. ბრძოლისთვის განკუთვნილმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, მაგრამ აბსოლუტური ჩემპიონის წოდება გულიაშვილს ხვდა, რომელმაც მანამდე ჯგუფურ ტურნირში დაამარცხა თავისი მეტოქე.

III ადგილი წითელაურმა და შაშვიაშვილმა გაინაწილეს. IV ადგილზეა თბილისელი ნ. ახალაური, რომელიც თავის მეტოქეზე აშკარად მსუბუქი იყო. ახალაურმა და V ადგილზე გასულმა სამტრედიელმა ჯ. ნიჟარაძემ მზარდი ოსტატობა გამოავლინეს. კარგი შთაბეჭდილება დატოვა თბილისელმა ს. ფეიქრიშვილმაც.

გაკვირვებას იწვევს კახეთისა და ქართლის ზოგიერთი რაიონის უსულგულო დამოკიდებულება ქართულ ჭიდაობისადმი. შეჯიბრების ორგანიზატორთა სამართლიანი გულსწყრომა განთიწვია იმან, რომ ტურნირში მონაწილეობას თავი არიდეს საგარეოში, გურჯაანმა, ყვარელმა, ახმეტამ, მცხეთამ და ქარელმა. ეს კი ის რაიონებია, სადაც ქართული ჭიდაობა მუდამ ძალიან პოპულარული იყო.

აბსოლუტური პირველობის პარალელურად ჩატარდა თბილისის ჭიდაობა ტურნირი მხატვ წონაში. პირველობა დაისაკუთრა ნიჭიერმა მოჭიდავემ ა. თბგაიძემ, რომელსაც გადაეცა კიდევ

„სპორტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს სპეციალური პრიზი.

დაწესებული იყო სხვა პრიზებიც, რომლებიც აბსოლუტური პირველობის მონაწილეებმა მიიღეს. დუშეთის რაიონის ფიზიკულურისა და სპორტის კომიტეტის პრიზი — საუკეთესო ახალგაზრდა მოჭიდავისთვის — თბილისელმა ა. თქროპირიძემ დაიმსახურა. ყველაზე სანდამული მოჭიდავის პრიზი („განთიადის“ ცენტრალური საბჭო) გადაეცა საქართველოს აბსოლუტურ ფალაპანს შ. გულიაშვილს. მანვე მიიღო თბილისის ფიზიკულურისა და სპორტის კომიტეტის ჯილდო ყველაზე შედეგიანი ჭიდაობისთვის. ყველაზე მეტი წმინდა მოგება მალაქიძეს აღმოაჩნდა — იგი დაჯილდოვდა უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლის პრიზით. „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ჯილდო საუკეთესო ტექნიკისთვის გადაეცა თ. წითელაურს. სპეციალური პრიზი მიიღო, აგრეთვე, აბსოლუტური ჩემპიონის მწვრთნელმა ქ. ნინიაშვილმა. ეს ჯილდო „ბურვესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს მიერ იყო დაწესებული.

მ. ნინიაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

30 დეკემბერი

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში ჩატარდება სპორტის სახეობათა მიხედვით რესპუბლიკის ნაკრები გუნდების კანდიდატთა და ხელმძღვანელთა საერთო კრება. დასაწყისი 17 ს.

სურათი: ნ. ზაფნიშვილისა (თბილისი) და თ. წითელაურის შეხვედრის მომენტი (ზემოთაა ზაფნიშვილი).

მ. ზარგარიანის ფოტო.

საქართველო

● ოქტომბერი, 25 დეკემბერი. აქ დამთავრდა ფრენბურთში „ა“ კლასის საკავშირო პირველობის მონაწილე პროფკავშირული ქალთა გუნდების ტურნირი. I ადგილი მოიხვეჭა მოსკოვის „ლოკომოტივმა“, რომელმაც ხუთივე შეხვედრა მოიგო. II ადგილზე გავიდა კავშირი სტუდენტები, ხოლო III — უმაღლესი ლიგის დებიუტანტის, ტაშკენტის „ავტომობილისტის“ წარმომადგენლები.

საქართველო სალუბო, მუშაკებებებ!

წლებადელ მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა მოფარევეებმა მედლების სარეკორდო რაოდენობა მოიხვეჭეს — 10 ჯილდო დაისაკუთრეს. საერთაშორისო სარბილელზე მათი წარმატება უკვე კარგა ხანია ტრადიციად იქცა.

საბჭოთა მოფარევეები რვა სახეობიდან ხუთში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. ყველაზე აჯობა სსრ კავშირის ქალთა გუნდმა, უძლიერესთა სახელი მოიხვეჭეს რაპირისტთა და ესპადრონისტთა კოლექტივებმა, ჩემპიონი დაფნა დაიბრუნეს გ. გორხოვამ და ა. ნიკანიკოვმა.

ყველა ეს წარმატება გეგმაზომიერ, დაულავე წვრთნაზე, დიდი ტურნირებისადმი მწყობარი შემოქმედებითი მზადების ხისტი-

რო გაუძნელებათ ახალი მწვერვალების დაპყრობა.

1971 წლის მთავარი შეჯიბრება — მსოფლიო ჩემპიონატი ივლისში გაიმართება (ავსტრია). ჩვეულებისამებრ, ავსტრიის საფარეკო ბილიკზე მხოლოდ მსოფლიო პირველობამდე ჩატარებულ შეჯიბრებებში გამოვლენილი უძლიერესი სპორტსმენები — ნაკრ-

ბის წევრები იასპარეზებენ. საკავშირო შეჯიბრებების ახალი კალენდრის პირველ ფურცელს მოფარევეები იანვრის დამლევს ტალინში გადაფურცლავენ — იქ სსრ კავშირის თასი გათამაშდება. შემდეგ საკავშირო ტურნირები გაიმართება მარტსა (სოხუმი) და ივნისში (მოსკოვი). საბჭოთა კავშირის ჩემპიონთა წოდებებს მოფარევეები ხალხთა V სპარტაკიადში შეეცილებიან ერთმანეთს.

სოციალისტური ქვეყნების გუნდების ტრადიციული შეჯიბრება რუმინეთში მოეწყობა.

საუკეთესო გუნდები — ჩემპიონები, როგორც მუდამ, ევროპის თასებს გაითამაშებენ: ესპადრონისტები — უნგრეთში, რაპირისტი ვაუბები — საფრანგეთში, დაშნის ოსტატები — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რაპირისტი ქალები — იტალიაში.

რ ვ ე ნ ი ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ი ს ქ ვ ა კ უ თ ხ ე ო ლ ი პ ი

სპარტაკიადებისთვის მზადება

აშქარად ბეიჭირს



ამას წინათ, როცა მძლეოსან მოსწავლეთა ერთ-ერთი შეჯიბრების შესახებ ვფიქრობდი, აღვნიშნეთ, რომ სიმბოლურ ხტოვაში გამოჩნდა 15 წლის ნიჭიერი გოგონა მზია კვიციანი, რომელმაც თანატოლებს საგრძნობი უპირატესობით აჯობა. მწვრთნელ გ. მირიტაძის აღსაზრდელმა თავი არც 18-19 დღეებში თბილისის ლენინის სახელობის სტადიონზე გამართულ რესპუბლიკურ ტურნირში შეიჩვივა. მართალია, ასპარეზობაში 17-18 წლის მოსწავლეები ჩაებნენ, მაგრამ უმცროსებსაც დარბაზი შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობის უფლება, კვიციანი კი 155 სმ დაძლია და 5 სანტიმეტრით მოუგო 3 წლით უფროს ს. სრიპოს (თბილისი), რომელსაც პირველობა მიეკუთვნა.

ლო იყო, რადგან ძლიერი მძლეოსნები ნაკლებად გვყავს.

შედეგები მაინცდამაინც სასარბილო როდი იყო. მართალია, ბეჭმა 11 თანრიგის ნორმატივი პირველად შესარულა, მაგრამ 1 თანრიგის მხოლოდ სამი მძლეოსანი შესწვდა: ბ. პრესნოვა 190 სმ სიმბოლურ დაძლია, ზ. მალაზონიამ (ორივე — თბილისი) 10 კმ-ზე სპორტულ სიარულში 46.55,0 აჩვენა, გ. ლოგინი (აფხაზეთი) კი 100 მ 11 წამში გაიბრინა.

მთელ რიგ სახეობებში კვლავ იგრძნობა მონაწილეობის სიმცირე. 100 და 200 მეტრზე თარჯნბენში, შუბის ტყორცნაში სარბილზე 2-2 გოგონა გამოვიდა, 110 მეტრზე თარჯნბენსა (1 მ სიმბოლის თარჯნბენით) და სპორტულ სიარულში 3-3 ჯაბუკი ასპარეზობდა, 800 და 3000 მეტრზე რბენში კი 4-4...

ეს ფაქტები ადასტურებენ, რა ცუდად ზრუნავენ მწვრთნელები ჩამორჩენილ სახეობათა განვითარებისთვის. თარჯნბენი მეტად რთული ტექნიკური სახეობაა. იგი ბავშვებს არ იტყვებენ, მაგრამ მაინცდამაინც არც მწვრთნელები ირგებან. მათუფა, ქუთაისში,

სოსუმში (აღარას ვამბობთ თბილისში), გურჯაანში, მასარაძეში, ბორჯომში გვაქვს მძლეოსნური ბილიები, რომლებზეც მწვრთნელები შეიძლება თარჯნბენის ტექნიკის სრულყოფა. ჩამოთვლილი ქალაქებისა და რაიონების სპორტსკოლებმა შეიძლება თავი იმართლოს: თარჯნბენი არ არის. ეს სწორია. სტადიონების დირექციებმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისი განყოფილებამ, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებმა, ბოლოს და ბოლოს თარჯნბენს და სხვა მძლეოსნური ინვენტარის შექმნისთვისაც უნდა იზრუნონ.

მწვრთნელთა უმეტესობა, სკოლების ფინალურდის მასწავლებლები ბავშვებს შედარებით იოლ სახეობებში (მაგალითად, 100 მეტრზე რბენა) ავარჯიშებენ. ამიტომაც იყო, რომ ასლა, რესპუბლიკურ ტურნირში 100 მეტრზე რბენში გამარჯვებისთვის 29 ჯაბუკი იბრძოდა, სამსტოში კი მხოლოდ 2, ჭოკით ხტომაში, უროსა და შუბის ტყორცნაში — 5-5...

სსრ კავშირის ხალხს V სპარტაკიადის ჩათვლაში მოსწავლე მძლეოსანთა მარეგულირებელი შედის, ოღონდ მათ-

ვის 1,5 კოეფიციენტი დაწესებული. სპარტაკიადამდე 7 თვე დარჩა, საქართველოს მოსწავლე-მძლეოსანთა ნაკრები კი სანახევროდაც არაა დაკომპლექტებული. ამ სახეობაში ამკარად გვიჭირს და მდგომარეობის გამოსწორების პერსპექტივაც ერთმ ბუნდოვანია.

ო. ვალაშვილი.

გთავაზობთ მხოლოდ გამარჯვებულთა ტექნიკურ შედეგებს. **ბილიები.** რბენა. 100 მ. ლ. არაღანი (აფხაზეთი) — 13,0 (წინასწარ ტურნირში საუკეთესო შედეგი — 12,5 — ჰქონდა სოსუმელ ტ. ბელოვს, მაგრამ მან ფინალში არ იასპარეზა); 200 მ. ლ. ჭარბაძე — 27,0; 400 მ. ტ. ივანოვა — 1.00,2; 800 მ. ს. ურეიანი — 2.30,1; 100 მ თარჯნბენი. ს. სრიპოს — 16,5; 200 მ თარჯნბენი. გ. ჩერაშვილი (ყველა — თბილისი) — 34,7; ბიართვის კვრა. ნ. შეროზია (აჭარა) — 12,06; ბადროს ტყორცნა. ნ. ლაბაძე (ხაშური) — 41,16; შუბის ტყორცნა. ლ. ბალივა (თბილისი) — 39,14; ხიგრტეხე ხტომა. სრიპოს — 519.

ბაბუაძე. რბენა. 200 მ. ვ. კაკურიძე — 23,4; 400 მ. მ. გონიანი (ორივე — თბილისი) — 52,8; 800 მ. ა. გოლოვინი (აფხაზეთი) — 2.00,2; 1500 მ. გ. ტეშინი — 4.17,9; 3000 მ. გ. ხუციანი — 9.19,2; 110 მ თარჯნბენი. ვ. რაიბინსკი (ყველა — თბილისი) — 15,9; 110 მ თარჯნბენი (1 მ სიმბოლურ). ს. აბოიანი (აჭარა) — 16,3; 400 მ თარჯნბენი. გონიანი — 58,6; ხიგრტეხე ხტომა. ლ. სლობოვი (აფხაზეთი) — 65,0; სამსტოში. ა. ვლასოვი — 13,70; ჭოკით ხტომა. ს. მანუქოვი — 38,0; ბადროს ტყორცნა. გ. ბელოვლი — 34,80; შუბის ტყორცნა. ნ. თრფანოვი (ყველა — თბილისი) — 55,66; უროს ტყორცნა. ს. ცხოვრეზოვი (სამხრეთ ოსეთი) — 40,75; ბიართვის კვრა. ნ. ჭესაშვილი (სპორტსკოლა-ინტერნატი) — 12,89.

გაღალღონაზე

თბილისის თარჯნბენის სახეობის რაიონის საწარმო-დაწესებულებების, კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების სპარტაკიადის საპროექტო სამაჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის 50 წლის-თავს მიეძღვნა.

ეს ღონისძიება მნიშვნელოვანი ეტაპი იყო თბილისის სპარტაკიადის ორჯონიკიძის რაიონის ფიზკულტურული კოლექტივების მზადყოფნის შემოწმებაში.

რაიონის სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებს წინ უძღოდა ფიზკულტურული კოლექტივების შიდასკოლექტივო სპარტაკიადები.

რაიონული ასპარეზობის პროგრამაში იყო გათვალისწინებული, ფრენბურთი, მძლეოსნობა, ტყვიის სროლა, ჯადარბაჯი და მაგიდის ჩოგბურთი.

სპარტაკიადის კალათბურთელთა ტურნირით გაიხსნა. ვაჟთა შეჯიბრებაში 18 გუნდი ჩაება. შემთხვევითა მოთაბეგა სამწვრთნელო მექანიკისა და სეისმოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი. II ადგილი დაიკავა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტმა, III — ტელეკომუნიკაციების სამსახურში სამართავი ადგილი შეიმდგა თანამდევრობით განაწილდა: გეოლოგიური სამმართველო, „საქკალაქმშენსასპროექტის“ ინსტიტუტი, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

ფრენბურთელ ვაჟთა შეჯიბრების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „სოფენერგობროექტის“ საპროექტო განყოფილებისა და № 1 ავტოსატრანსპორტო კონტორის კოლექტივი. იმარჯვეს „სოფენერგობროექტის“ სპორტსმენებმა — 2:1. III ადგილი ხვდა „საქკალაქმშენსასპროექტის“, რომელმაც დაამარცხა გეოლოგიური სამმართველოს გუნდი.

ქალთა შორის საპირისპო ადგილები ასე განაწილდა: კავშირგაბმულობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი, „ენერგოქსელბროექტი“, „საქსანინწყალბროექტი“.

მძლეოსნობაში საერთო გუნდური I ადგილი დაიკავეს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სპორტსმენებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ტყვაგადაღობის ფაბრიკისა და გეოლოგიური სამმართველოს კოლექტივები.

მცირეკალიბრის შაშხანით წოლელა სროლაში მოასპარევე გუნდები დაკომპლექტებული იყო 5-5 სპორტსმენით (4 ვაჟი და 1 ქალი). 500 მეტრზე დაიწყო 386 ქალით სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ფინიკის სამეც-



ნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გუნდი, რომელმაც „საქკალაქმშენსასპროექტის“ ინსტიტუტს 8 ქულით აჯობა. III ადგილზეა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო — 370 ქულა.

შევიცარიული სისტემის გამართულ მოჭადრაკეთა ტურნირში (5 ტური) 24 გუნდმა მონაწილეობა (2-2 ვაჟი, თითო ქალი). II ქულით გამარჯვა გეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტმა. II ადგილზე გავიდნენ სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლები — 10,5, III — № 1 ავტოსატრანსპორტო კონტორის გუნდები — 10. გამარჯვებულთა შემადგენელი გამოდიოდა ცნობილი სპორტის ოსტატი მანანა ტოგონიძე.

ყველაზე ხალხმრავალი იყო მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობა: ბძოლამი 32 გუნდი ჩაება. „საქსანინწყალბროექტის“ სპორტსმენებმა ჩემპიონობა არავის დაუთმეს. II და III ადგილები შესაბამისად დაიკავეს „საქკალაქმშენსასპროექტის“ ინსტიტუტისა და ს. ურეის სახელობის სპორტსკოლაში და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნაკრებმა გუნდებმა.

სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა და გარდამავალი თასი „საქკალაქმშენსასპროექტის“ (ფიზკულტურის მეთოდისტი ა. თუნთია) ნაკრებმა დაისაკუთრა — 37 ქულა.

26 ქულით II ადგილზე გავიდა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს (მეთოდისტი ი. მხვიტი) გუნდი. III ადგილზეა გეოლოგიური სამმართველოს (საზოგადოებრივი ინსტრუქტორი ნ. გომიშვილი) კოლექტივი — 24 ქულა.

ორჯონიკიძის რაიონის სპარტაკიადამ, რომელშიც 33 ფიზკულტურული კოლექტივის 1017 სპორტსმენი მონაწილეობდა, მაღალ დონეზე ჩაიარა.

რ. კორინთელი,

სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი.

საპარტაკიადის 10 საუკეთესო

ათეულებში სპორტსმენთა გვარის შემდეგ აღნიშნულია შედეგი, სპორტსმენის დაბადების წელი, ქალაქი და ორგანიზაცია, შეჯიბრების ჩატარების დრო და ადგილი.

ქალბავი
რბენა 100 მ. ტ. სერდუკოვა — 12,0 (1949), თბილისი, „ბურვესტნიკი“. 3. VIII, ვილნიუსი; 5. ლომიძე — 12,1 (50), თბილისი, „ბურვესტნიკი“. 18. VII, დონის როსტოვი; ლ. ივლივა — 12,3 (41), თბილისი, „სპარტაკი“. 23. V, ნალჩიკი; ტ. ბელოვა — 12,3 (54), სოსუმი, განათლების განყოფილება. 10. VII, ლესელიძე; ფ. ფარცვანი — 12,3 (52), ფოთი, განათლების განყოფილება. 16. VII, თბილისი; დ. სუბოტინა — 12,4 (47), თბილისი, „ბურვესტნიკი“. 16. IV, თბილისი; ვ. იანშიანი — 12,4 (48), თელავი, 10. VII, ლესელიძე; გ. გოლობოროდოვი — 12,4 (52), ბათუმი, „დინამი“. 2. X, ბათუმი; ვ. ქუთათელაძე — 12,5 (48), თბილისი, „ლოკომოტივი“. 12. II, ლენინგრადი; ც. ჩოლოშვილი — 12,5 (47), თბილისი, „სპარტაკი“. 23. V, ნალჩიკი. საშუალო შედეგი: 1969 წ. — 12,2, 1970 წ. — 12,3.

რბენა 200 მ. ტ. სერდუკოვა — 25,0. 19. VII, დონის როსტოვი; ლ. ფარცვანი — 25,2. 17. VII, თბილისი; ვ. გოლობოროდოვი — 25,7. 15. VI, თბილისი; ლ. ჭარბაძე — 25,8 (56), თბილისი, „სპარტაკი“. 3. VIII, თბილისი; ტ. ბელოვა — 25,9. 6. XI, ბაქო; ვ. ფედოსეევიკოვა — 26,0 (32), ბათუმი, „დინამი“. 15. VI, თბილისი; ლ. კორკოტაძე — 26,1 (50), თბილისი, „ბურვესტნიკი“. 23. VIII, რიგა; 5. ლომიძე — 26,2. 23. VIII, რიგა; 5. მაიოროვა — 26,4 (51), თბილისი, „ბურვესტნიკი“. 16. IV, თბილისი; ლ. სემირენკინა — 26,8 (51), თბილისი, „სპარტაკი“. 24. V, ნალჩიკი.

საშუალო შედეგი: 1969 წ. — 25,6, 1970 წ. — 25,9.

რბენა 400 მ. ლ. სემირენკინა — 58,2. 23. XI, თბილისი; ლ. ჭარბაძე — 58,6. 14. VI, თბილისი; ლ. კორკოტაძე — 58,7. 22. VIII, რიგა; ვ. გოლობოროდოვი — 58,9. 16. VI, თბილისი; ტ. ივანოვა — 59,0 (54), თბილისი, განათლების განყოფილება. 10. V, თბილისი; 5. მაიოროვა — 1.00,2. 26. IV, თბილისი; 8. მესხი — 1.00,3 (53), ქუთაისი, „სპარტაკი“. 8. VI, ქუთაისი; ტ. ტესლენკო — 1.00,8 (54), ლესელიძე, განათლების განყოფილება. 14. VI, თბილისი; მ. მერველი — 1.01,0 (53), თბილისი, „ლოკომოტივი“. 22. VIII, რიგა;

ი. გონიაროვა — 1,02,2 (52), თბილისი, „ბურვესტნიკი“. 21. V, თბილისი. საშუალო შედეგი: 1969 წ. — 1,01,0, 1970 წ. — 59,8.

რბენა 800 მ. მ. მერველი — 2.21,0. 18. X, კრასნოდარი; ტ. ივანოვა — 2.23,9. 19. VII, თბილისი; რ. შიკოვსკაია — 2.26,2 (39), თბილისი, „ლოკომოტივი“. 21. V, თბილისი; 5. ბეშუმენოვი — 2.26,2 (53), თბილისი, „დინამი“. 10. X, თბილისი; 8. ქურთაევა — 2.27,2 (52), ცხინვალი, „ბურვესტნიკი“. 21. V, თბილისი; ვ. გოლობოროდოვი — 2.27,8. 7. X, ბათუმი; ლ. სელაძე — 2.30,2 (50), ბათუმი, „ლოკომოტივი“. 14. VI, თბილისი; მ. ბენკინა — 2.30,2 (54), ბათუმი, „დინამი“. 7. X, ბათუმი; რ. შამოვეა — 2.33,6 (50), თბილისი, „განთაიდი“. 3. XI, თბილისი; ზ. ბერიძე — 2.34,7 (53), გორი, „ბურვესტნიკი“. 21. V, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1969 წ. — 2.25,9, 1970 წ. — 2.28,1.

რბენა 1500 მ. მ. მერველი — 5.09,2. 26. IV, თბილისი; რ. შიკოვსკაია — 5.10,2. 14. VI, თბილისი; 5. ბეშუმენოვი — 5.13,0. 10. V, თბილისი; რ. შამოვეა — 5.14,8. 18. X, კრასნოდარი; მ. ქურთაევა — 5.16,4. 18. V, თბილისი; ვ. ბაგაივა — 5.18,4 (52), ცხინვალი, „ბურვესტნიკი“. 18. V, თბილისი; რ. ბოლქვაძე — 5.25,4 (52), თბილისი, „სპარტაკი“. 5. XI, თბილისი; ლ. მაკაროვა — 5.28,5 (52), თბილისი, „ლოკომოტივი“. 10. V, თბილისი; 5. ვინიგინა — 5.28,8 (53), თბილისი, „ლოკომოტივი“. 10. V, თბილისი; ზ. ბერიძე — 5.30,8. 18. V, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1969 წ. — 5.31,0, 1970 წ. — 5.19,5.

100 მ თარჯნბენი. ლ. ივლივა — 13,6. 22. VIII, რიგა; რ. ჩუბინიძე — 14,7 (52), თბილისი, „განთაიდი“. 18. VII, თბილისი; თ. კლიაშვილი — 14,9 (46), თბილისი, „ბურვესტნიკი“. 20. V, თბილისი; თ. რევილი — 15,0 (50), თბილისი, „ბურვესტნიკი“. 4. XI, თბილისი; ს. სრიპოს — 15,3 (53), თბილისი, განათლების განყოფილება. 10. VII, ლესელიძე; ლ. შუშინა — 15,3 (47), თელავი. 26. IV, თბილისი; ვ. ფედოსეევიკოვა — 15,8. 6. VI, ბათუმი; ლ. ზგინიკოვა — 16,4 (50), თბილისი, „ლოკომოტივი“. 26. IV, თბილისი; ი. ოლიანი — 16,6 (51), თბილისი, „ლოკომოტივი“. 12. II, ლენინგრადი; თ. ეპიფანოვა — 16,7 (50), თბილისი, „ბურვესტნიკი“. 20. V, თბილისი. საშუალო შედეგი: 1969 წ. — 15,1, 1970 წ. — 15,4.

ამლიონოვა

1970 წლის

შედეგების მიხედვით

200 მ თარჯნბენი. მ. ალიაკინ-სკაია — 29,6 (54), თბილისი, „ბურვესტნიკი“. 21. VI, თბილისი; თ. რევილი — 30,3. 9. X, თბილისი; რ. ჩუბინიძე — 31,3. 9. X, თბილისი; ვ. ჩერაშვილი — 32,3 (53), თბილისი, განათლების განყოფილება. 10. V, თბილისი; ლ. ნაზარევიკოვა — 35,8 (53), თბილისი, განათლების განყოფილება. 10. V, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1969 წ. — 32,5, 1970 წ. — არ იყო.

მსტაშვტა 4x100 მ. საქართველოს ნაკრები (ლ. ივლივა, 5. ლომიძე, ტ. სერდუკოვა, ლ. ფარცვანი) — 48,5. 11. VII, მინსკი; საქართველოს ნაკრები (ლ. ივლივა, ლ. კორკოტაძე, ც. ჩოლოშვილი, ნ. ლომიძე) — 49,2. 23. VIII, რიგა; თბილისის ნაკრები — 49,5. 18. X, კრასნოდარი; საქართველოს გოგონათა ნაკრები — 49,6. 19. VII, თბილისი; „ბურვესტნიკი“ (ტ. სერდუკოვა, ლ. გუგო, თ. ეპიფანოვა, 5. ლომიძე) — 49,9. 20. VII, დონის როსტოვი; თბილისის ნაკრები — 50,6. 4. V, თელავი; ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი — 51,1. 9. X, თბილისი, „ბურვესტნიკი“ (ლ. კორკოტაძე, თ. რევილი, მ. გელაშვილი, თ. ეპიფანოვა) — 51,2. 5. XI, თბილისი; პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 51,6. 9. X, თბილისი; „ბურვესტნიკი“ (ლ. კორკოტაძე, ნ. ლომიძე, ლ. ლომიძე, ტ. სერდუკოვა) — 51,8. 27. IV, თბილისი; უნივერსიტეტი — 51,8. 19. V, თბილისი.


საშუალო შედეგი: 1969 წ. — 49,7, 1970 წ. — 50,5.

სიმაღლეზე ხტომა. ლ. გუკი — 168 (51), თბილისი, „ბურვესტნიკი“. 18. X, კრასნოდარი; ლ. შუშინა — 160. 20. V, თბილისი; ს. სრიპოს — 160. 20. VI, თბილისი; 8. ალიაკინ-სკაია — 155. 16. VII, თბილისი; ვ. ფედოსეევიკოვა — 155. 9. VIII, ბათუმი; მ. კვიციანი — 155 (56), თბილისი, განათლების განყოფილება. 18. XII, თბილისი; ლ. ვორნეკოვა — 151 (50), თბილისი, „ბურვესტნიკი“. 20. V, თბილისი; ვ. პოლიაკოვა — 150 (53), თბილისი, განათლების განყოფილება. 10. V, თბილისი; ა. კურეიანი — 150 (53), სამტრედიის განათლების განყოფილება. 10. V, თბილისი; ჯ. ჩუბინიძე — 150 (48), თბილისი, „განთაიდი“. 3. XI, თბილისი. საშუალო შედეგი: 1969 წ. — 154,5, 1970 წ. — 156.

(გაგრძელება იქნება)



რა მოგვიტანს განვლილმა საზომმა



ლისის „დინამოს“ ფეხბურთელები მთლიანად უმოზღვრეს ინიციატივას მეტოქეს. პასიურობდნენ, სრულ დემორალიზაციას იჩენდნენ.

სეზონის მსვლელობაში პრესაში გამოჩნდა თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელების რამდენიმე ინტერვიუ, სადაც ყოველთვის იყო ერთი სტერეოტიპული შეკითხვა: რატომ აგვის გუნდი მოწინააღმდეგეთა მიმართ?

ვერც ერთ პასუხში ვერ ვახსენებდენ, მაინც დასაბუთებულად, გარკვეული განმარტება. ან რა განმარტება უნდა, როცა გულშემატივებმა ტელევიზიით ნახეს თბილისელთა თამაში ბაქოში, ვერცხანში, მოსკოვში... ნახეს და თვალათლივ დარწმუნდნენ, რომ გუნდის მოთამაშეთა უმეტესობა მხოლოდ ნომინალურად იმყოფებოდა მიწოდებაში, თავისი უნარის ნახევარსაც არ ამჟღავნებდა, შეინებულნი, დამფრთხალი გამოიყურებოდა და ნიშანწყალიც არ ეტყობოდა იმისა, რომ რაიმე სურვილი გამოიჩინა ნამდვილი საფეხბურთო მეტოქეებთან ყოფილიყო (გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ თანხის ფინალური მატჩი მოსკოვის „დინამოსთან“).

ესე იგი, მთავარი მიზეზი ეს უნდა იყოს მხოლოდ: სრული უნებისყოფა, კოლექტიური მობორობის უნარის დაკარგვა, უპასუხისმგებლობა.

ყოველი გუნდის საერთო კლასის განსაზღვრის, მისი სიძლიერის შეფასების ერთ-ერთ უმთავრეს კრიტერიუმს წარმოადგენს მისი თამაშის სტაბილურობა შინაც და გარეთაც. მსოფლიოს უძლიერეს გუნდებს საერთაშორისო პრეტენზიები იმით აქვთ მოპოვებული, რომ ერთნაირი სიძლიერით თამაშობენ ყველა მიწოდებაში. მათი სიძლიერე სტაბილურია. ფეხბურთელებს, რომელიც თავის მიმდრეხვე მთელი ძალით თამაშობს, სოლო გასვლაზე თითქმის არ აკარებს და ჩრდილშია მიმალული, არავინ არაფერს ახატავს.

და მით უფრო საწყენია, მეტოქე — სამარცხენოა ეს თბილისის „დინამოსის“ თავი. თავი დაუბრუნებელი იმ ქველას, რომელიც წლებადღეს გათამაშებაში დაკარგვდა და ამის გამო ჩემპიონობისთვის ბრძოლას გამოეყოფოდა. ეს შეიძლება კერძო ამაღლ, ერთი სეზონის მარცხად ჩავთვალოთ, მაგრამ ასევე დასავალი საკითხი. მომავალშიც რომ ასე აგარბედეს? სომ დაუგარბეთ თაობათა მიერ ათეული წლების განმავლობაში საერთაშორისო და საკავშირო სარბიულზე მოპოვებული ქართული ფეხბურთის სახელი და ავტორიტეტი, მისი ორიგინალობა და სილაშქრე? ჩვენს ფეხბურთს, ჩვენს მოთამაშეებს ყველაზე დიდ პატივს სცემენ, უყვართ, თბილისის „დინამოს“ გამოსვლა მუდამ დიდი საფეხბურთო მოვლენაა და არავის აქვს უფლება შეხედოს იგი. ასე რომ გაგრძელდეს, რა შეხედულება ექნებათ ქართული ფეხბურთზე იმავე ტაშქენტში, ბაქოში, ერევანსა და მოსკოვში, ან უცხოეთში?

დინამოელებმა ბოლო დროს „მოდან“ შემოიღეს სხვა ქალაქში სათამაშოდ ჩასვლა მატჩის წინააღმდეგ და თუ შეხვედრებს შორის ინტერვალი, ვთქვათ, 5 დღეა, ჩაუვლენ ერთი მატჩის ჩასატარებლად, დაბრუნდებიან უკან, თბილისში, შემდეგ ისევ მიემგზავრებიან მეორე ქალაქში და ა. შ. ეს ყოველად დაუშვებელია. ჯერ ერთი, მოთამაშეები ვერ ასწრებენ აკლიმატიზაციას, მეორეც, მათ არა აქვთ უცხო ქალაქში ცხოვრების ჩვევა. ერთი დღით ჩასვლა ნიშნავს იმას, რომ ფეხბურთელებს ექნება განწყობილება როგორმე მოიცილოს მატჩი, მოითავოს ეს საქმე, და რაც შეიძლება მაღალ დარწმუნდეს შინ, ესე იგი, თავი ააცილოს სინდელს. განა ასე იქცევიან მოსკოვის გუნდები? თუ სტუმრად გეგონს 3 მატჩი, უნდა წახვიდე მთელი ამ დროით, იცხოვრო იმ ქალაქში, სადაც თამაშებ

ბი გაქვს, შეგვიო. იქაურობას, არ გრძობდე თავს უცხო, „უხერხულად“, კალაპოტიდან ამოგარდნილად, უნდა მიიღო აკლიმატიზაცია, შეგვეო უცხო გულშემატივებისა და ტრიბუნების განწყობილებას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია მესაზღვრის პირობებში.

ყოველივე ამის გარდა, „დინამოს“ ხელმძღვანელობა გასული პერიოდში ვერ იჩენდა სრულ მომთხოვნეობას, შედეგად ლობიობი იყო და გაუმართლებლად ასრულებდა ცალკეულ ფეხბურთელთა უადგილო კაპრიზებს. ამის გამო არ იღვა სათანადო სიმძალე, როგორც საერთო დისციპლინა, ისე, კერძოდ, სათამაშო დისციპლინაც.

გუნდის წარუმატებლობაზე დიდი გავლენა მოახდინა მეკარეების სუსტმა, არათანაბარმა თამაშმა. ურუშაქეს ყოველად გაუმართლებელი მიზეზებით უვალატა მეკარეებმა, სტეფანიას კი ჯერ არა აქვს გაკლილი სათანადო „სკოლა“, აკლია გამოცდილება. დაკვამი პრეტენზიები არა გააქვს ძოქაშვილისა და სინჩაგაილის მიმართ, მაგრამ სტოპერებმა ცუდად ჩაატარეს სეზონი. ტრავმის შემდეგ ვერ ჩადგა ფორმაში ქელოძე. ხშირად კჭონდა შეცდომები კანთულაძეს. სეზონის დასასრულს ძალიან უკლი თამაშს ხუტყილავამ.

ძალზე არასტაბილურად, თავის შესაძლებლობებზე ცუდად ითამაშეს ნახევარმცველებმა. თვით ეს სიტყვა — ნახევარმცველი — ნიშნავს, რომ ფეხბურთელმა ჯერ დაკვირვება უნდა გაართვას თავი და აქ მოავარდოს საქმეები. მაგრამ ჩვენ ვერ ვხეხვთ, რომ ასათიანი და კუტივაძე ბურთს დაკარგვას საჭირო სისწრაფით და ენერჯით დაბრუნებულყვენ უკან მოწინააღმდეგეთან საბრძოლველად, ამ საქმეს ისინი პეტრიაშვილს და ილიაძის ანდობენ. მაგრამ თავად განსაჯეთ, როცა სამი პაბუკიდან ორი არ ასრულებს დაკვირვებას, რა დატვირთვა დააწვებათ უკან საზის მოთამაშეებს, საერთოდ, როგორ გაეჭირდება გუნდს ინიციატივის შენარჩუნება შუა მიწოდებაში. ამას გარდა, ნახევარდაცვის წამყვანი, გამომამაშებელი მოთამაშე ასათიანი ხშირად მოქმედებს განწყობის მიხედვით, მუდამ არ ავალნის თავის შესაძლებლობებს. ეს კი ძალზე ეტყობა თბილისის „დინამოს“ თამაშს. ჩვენ ასათიანისგან გაცილებით მეტს მოვილოთ.

თბილისის „დინამოს“ თავდასხმა მუდამ გამოირჩეოდა მაღალი შედეგანობით, მაღალი კლასის ბომბარდირებით. სასიამოვნოა, რომ წლეულს საუკეთესო სწრაფის პრიზი მიიღო გ. ნოდია, მთელი რიგი მატჩები კარგად თამაშობდა. ნოდია, მაგრამ გასული თამაშებში გუნდის თავდასხმა ვერ აუღლენდა თავის ძალას, პასიურობდა. სოკოლოვი მატჩში დადებითი გამოიყურებოდა მეტრეველი და იქნებ უმჯობესი იყო მისთვის სანავაშოვებით მიეცათ დასვენების შესაძლებლობა. მეტრეველმა და ლ. ნოდია განვილო ჩემპიონატში სულ 2-2 ბურთი გაიტანეს — გუნდს ერთბაშად შეხიფეს.

ტრავმებისა და ავადმყოფობის გამო იზიარდა გამოიღოდა მიმდრეხვე გაეშვილი. იმედია, გაისად იგი ჩადგება მწყობრში, მაგრამ გაგაშვლს უნდა გუსურეთ მეტი ატვირობა, თამაშის გამრავალფეროვნება.

კარგად გამოიჩინეს თავი წლევენილი გამომამაშებამი მაჩაიძემ და მელონივილი.

მომავალ სეზონში დინამოელებმა ყველაფერი უნდა იღონონ საიმისოდ, რომ გაზარდონ ბრძოლისუნარიანობა, მაქსიმალური ძალით იბრძოლონ მეტოქეთა მიმდრეხვე და მოიცილონ „შინაური“ გუნდის ეს უხერხო რეპუტაცია.

1970 წლის სეზონში ჩვენმა ფეხბურთმა დიდი დანაკლისი განიცადა იმ-



ით, რომ ქუთაისის „ტორპედო“ იძულებული გახდა დაეტოვებინა უმაღლესი ლიგა. შედეგად დაპარაკი იმასე, თუ რა როლს ასრულებდა ეს გუნდი, რამდენი პირველხარისხოვანი მოთამაშე აღუზარდა ქართულ ფეხბურთს, როგორი პოპულარობა მოიპოვა მთელს კავშირში, რამდენი შესანიშნავი მატჩი ჩაატარა საბჭოთა ფეხბურთის ადირებულ ლიდერებთან.

ეს მით უფრო საწყენია, რომ ტორპედოელებს ჩემპიონატის დასაწყისში საუცხოოდ ჰქონდათ სატურნირო საქმიეობი: 9 ტურის შემდეგ ისინი X ადგილზე იყვნენ, მომდევნო ტურებშიც იხარხრებდნენ წამყვან პოზიციებს და პირველი წრე XIII ადგილით დაამთავრეს. მაგრამ შემდგომში, როცა კონკურენცია ცხრილის ქვემო ნახევარში მეტისმეტად გამწვავდა, როცა გუნდის უშუალო მეტოქეებმა საგრძობლად მოუმატეს თამაშს, ქუთაისელებმა მოულოდნელად დათქეს. ისინი არ იბრძოდნენ საჭირო თავდაწირვითა და მობოროტებით. მთელ რიგ მოთამაშეებს ნერვებმა უმტყუნა, ბევრიც მწყობრს გამოაკლდა ავადმყოფობის გამო და გადამწყვეტი მნიშვნელობის მატჩები „ჩერნიომორცთან“, „ზარისთან“, „ფხა-თქორთან“ საკუთარი მიმდრეხვე წაავადეთ. ვერ ავიღეთ 2 ქულა „უნიტთანაც“. სწორედ ამ შედეგებმა გადწყვიტა ყველაფერი.

საბოლოო შედეგი მეტად სამწუხარო და საავალი გამოდგა. სრული იმედი გაქვს, რომ ქუთაისის „ტორპედო“, რომლის რიგები არიან გამოცდილი მოთამაშეებიც და პერსპექტიული ახალგაზრდებიც, აუცილებლად დაბრუნდება თავის ღირებულ ადგილს უძლიერესა შორის. ყველამ, ვისთვისაც კი ძვირფასია ქართული ფეხბურთის სახელი და საერთო ინტერესები, ვინც კი ენახება მის განვითარებასა და წინსვლას, მთელმა ჩვენმა სპორტულმა საზოგადოებრიობამ უნდა იზურუნოს, რომ ქუთაისის „ტორპედო“ ისევე ვისილოთ იქ, სადაც გამოდიოდა ათეული წლის მანძილზე — „ა“ კლასის უმაღლეს ლიგაში. ეს ჩვენს უპირველეს, გადარდებელი ამოცანაა.

გაისიდან საკავშირო შეჯიბრებთა სისტემა საგრძობლად იცვლება. ამით ბრძოლა კიდევ უფრო დაძაბული და ძნელი გახდება. ასეა, როგორც არასდროს, გვეჭირდება ასალი მოთამაშეები, ასალი ნიჭიერი ფეხბურთელები, რომლებიც მზად უნდა ვიყოლიოთ თაობათა მოსალოდნელი ცვლის მომენტისთვის.

ვინ უნდა მისცეს ქართულ ფეხბურთს ეს კადრები? რა თქმა უნდა, ბავშვთა სპეციალიზებულმა სკოლებმა. მოსამზადებელია გავუფრება, რომლებიც უპირველეს ყოვლისა საამისოდ არიან მოწოდებული. მაგრამ გადის წლები, სეზონი სეზონს მისდევს, ეს კადრები კი არ ჩანს.

რა არის ამის მთავარი მიზეზი? ის, რომ ბავშვთა გუნდების მწვრთნელებს მთავარი მიზნად უნდა შეხვედნენ სხვადასხვა სახის შეჯიბრებებში წარმატების მიღ-

ვლას. ყველას I ადგილი უნდა და ამის გამო, რომ ნორჩებთან მომუშავე მწვრთნელები იძულებული არიან თაციანთი საქმიანობის ძირითად პრინციპად დაისახონ მაღალი ადგილის დაკავება, რადაც უნდა დაუჯდეთ, თუნდაც არასწორი გზით. ისინი ბავშვებსაც ამ განწყობას უნერგავენ, ტალანტების ძებნით და მათი აღზრდით კი თავს ნაკლებად იწყებენ.

ქსტრა-კლასის ფეხბურთელების აღზრდა არის მწვრთნელების ყველაზე დიდი ყველაზე საპატიო დასასწრება და ავალნი ქართული ფეხბურთის განვითარების საქმიეობი. კვირაში 3 მეკადნიობა 2-2 საათით არ კმარა მაღალხარისხოვანი ფეხბურთელის აღსაზრდელად. ეს წვეთია ზღვაში. საჭიროა გააცილებით მეტი. ბავშვთა ყოველდღე სისტემატურად უნდა ითამაშოს. ამასთან, მას დიდი როლი უნდა უღივავდეს მთელი ვარჯიშები, რომლებიც განუკითარებენ სისწრაფეს, მოქნილობას, სისხარტეს, საზრიაანობას, გამძლეობას. მწვრთნელი დიდი გუსლისყურით უნდა მოეპყრას ბავშვის მოწამებების თითოეულ დეტალს, გაარკვიოს მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, შეურჩიოს ადგილი, შეუწყოს ხელი მისი სპორტული ოსტატობის ზრდას. ყოველ ნორჩ ფეხბურთელს განსაკუთრებულ, ინდივიდუალური მიდგომა ესაჭიროება.


სულ ასლანს თბილისში, გორსა და რუსთაველი მოეწყო ახალგაზრდა ფეხბურთელთა სპეციალური ტურნირი პერსპექტიული მოთამაშეთა შერჩევის მიზნით. გამოტყევილად უნდა ითქვას, არჩევანი ვერაა მთლად სასარბილო. აქ საჭიროდ მიგვარჩია ალენიშნით, რომ სოკოლოვი რაიმეწინა ყოველად დაუშვებელი, პირდაპირ დინამოელებთან და მოვიდებულუბა გამოიჩინეს ამ სერიოზული ტურნირის მიმართ და თბილისში არ მოვალენეს პერსონალურად გამომამაშებელი მოთამაშეები. მათ დაივიწყეს ეროვნული მნიშვნელობის საქმე და „შენ-ჩემობის“ ვიწრო, პრიმიტიული ინტერესები ამჯობინეს.

ქართული ფეხბურთი ძალიან საპასუხისმგებელი, სერიოზული ამოცანების წინაშე დგას. ამ ამოცანების დადებითად გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის, ექსტრა-კლასის ფეხბურთელთა აღზრდით. ეს ბავშვთა შორის მომუშავე მწვრთნელთა გადარდებელი საქმიეა და მათ ყოველმხრივი დახმარება უნდა გაეწვიოს, რათა უახლოეს სახეობებში მოგაწოდონ ის შედეგები, რომელიც ჩვენ სარჩობოდ გვეჩრდება.

ბ. პაიშაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ბ. კორძია,
ს უ რ ა თ ე : დამატებითი მატჩი ტაშენტში ცხკა-სა და მოსკოვის „დინამოს“ შორის. არმიელები უტყვენ მეტოქის კარს.

ა. ბოჩინინის ფოტო
(„ოგონიოკი“).



ნორჩ გუსიკოსთა ძვირფასი სტუმარი

თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის მე-3 მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებლები და მოსწავლეები ამას წინათ ქაღარკში მსოფლიოს სამგზოს ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს შეხვდნენ. სტუმარს მიხვალნენ სასწავლებლის დირექტორი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ქ. ჭიქია, მოსწავლეები ქ. მამაგულაშვილი, ნ. მაისურაძე, ლ. მაჭავარიანი და სხვ. ქაღარაკის დღეოფლის პატრონაცემად მომავალში მუსიკოსებმა კონცერტი გამართეს.

დიდი ინტერესი გამოიწვია ნ. გაფრინდაშვილის ერთდროული თამაშის სენსა ათ დაფაზე. ნონამ 8 პარტია მოიგო და ორი — თეორიული განყოფილების პირველკურსელ ლ. ბოგვერაძესთან და პედაგოგ ქ. კოხონელიძესთან — წააგო.

ბ. დოლენჯაშვილის ტექსტი და ფოტო.

სკობა მღელვარება როდი მოუტანა ჭადრაკის საბჭოთა მოყვარულებს 1970 წელმა, მაგრამ მასთან ერთად ბევრი სიხარულიც იყო. ამ უძველესი და წარმატებული თამაშის საბჭოთა ოსტატებმა საერთაშორისო ტურნირებში მთელი რიგი გამარჯვებები იზეიმეს: მოიგეს მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეთაგან შემდგარ გუნდთან მატჩი, გაიმარჯვეს ევროპის ჩემპიონატში, მსოფლიო ოლიმპიადაში, წარმატებით გამოვიდნენ საზონათშორისო ტურნირში. ორმა საბჭოთა მოჭადრაკემ მსოფლიო პირველობის გათამაშების მორიგ ციკლში — პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიხვეჭა. სწორედ ახალი წლის წინ ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის მეორე გათამაშებაში გამარჯვება ნანა აღუქსანდრიაში... ამ წელიწადს კიდევ ორი საბჭოთა მოჭადრაკე გახდა საერთაშორისო დიდოსტატი.

ჭ ა დ რ ა კ ი - 7 1

ესენი არიან ა. კარპოვი და ბ. გურგენიძე. საერთაშორისო ოსტატის წოდება მოიხვეჭა რვა მოჭადრაკემ: ნ. კონოპლიოვამ, ე. რუბცოვამ, ნ. მედიანიკოვამ, ი. ბალაშოვმა, რ. ჭინჩიხაშვილმა, ი. ზაიციევამ, ო. მოსიევემ და ვ. ტუშკაიოვამ. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი შეხაძლოა წლეულს დიდოსტატიც გახდეს.

1970 წელი დაგვიმასოვრდება იმიტომ, რომ შედგა ისტორიაში პირველი საჭადრაკო შეხვედრა კოსმოსში.

საბჭოთა ოსტატებისა და დიდოსტატებისთვის ახალი წლის პირველივე დღე სამუშაო იქნება: I იანვარს ინგლისის ქალაქ მასტიנג-


სში გაიმართება ტრადიციული საახალწლო ტურნირის მორიგი ტურის. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა ორი საბჭოთა მოჭადრაკის მონაწილეობა.

შედეგ გაიმართება სხვა ტურნირებიც, და ასე იქნება მთელი წლის მანძილზე. დიდოსტატების ოფიციალურ შეჯიბრებებში მოგვევლინებინათ სტუდენტთა მსოფლიო გუნდური ჩემპიონატი (პრეტენდენტ-რეკორდის), ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი (კუბა, ავსტრია), ქალთა საზონათშორისო ტურნირი და, რა თქმა უნდა, პრეტენდენტ ვაჟთა მატჩები, რომელთა ფინალის გამართვა ხეტემბერში ნავარაუდევია. მოგაგონებთ, რომ პრეტენდენტთა ტურნირებში გამოცვალილი საბჭოთა მოჭადრაკე — ტ. პეტროსიანი — გელფინი და მ. ტაიშინაოვი.

დაბოლოს დავასახელებთ ყველაზე მნიშვნელოვან საკავშირო შეჯიბრებებს: 4-15 იანვარს რიგში გაიმართება გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო პირადი ტურნირი, ვილინუსში 26 იანვრიდან 16 თებერვლამდე გასტანს ახალგაზრდა ოსტატთა საკავშირო პირველობა, 25 მარტიდან 15 აპრილამდე სოხუმში გაიმართება ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრება.

მოზრდილთა საკავშირო ჩემპიონატები გაიმართება: გუნდური — 1-10 აგვისტოს დონის როსტოვში, ვაჟთა პირადი — 14 სექტემბრიდან 16 ოქტომბრამდე, ლენინგრადში, ქალთა პირადი — 1 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე, სპეში. (საქდესი).

სსრ კავშირის ჩემპიონატი



ლიდერთა ჯგუფს დაუბრუნდა

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის კიდევ ერთი შეხვედრა. პიპპი. ადგილობრივმა არმიელებმა კაუნასის „ჟალგირისს“ უმასპინძლეს. სტუმრების უპირატესობა აშკარა იყო — 81:65. ამ გამარჯვებით „ჟალგირისი“ ლიდერთა ჯგუფს დაუბრუნდა.

ო კ, ე ს 3 ნუთი და 14 ქულა!

თბილისი. სპორტის სახალხო-25 დეკემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „კალევი“ (ტარტუ) 81:92 (48:44).

მსაჯები: გ. პარფინიუკი, ე. ტრეგუბოვი (ორივე — კიევი).

დუბლშემადგენლობანი — 92:91 (80:80, 44:41).

მთლიანად გამორიცხავდა მათთვის ხელსაყრელი შედეგის შესაძლებლობას. უბრალოდ, „კალევი“ არ ელოდა დინამოელთა მხრივ ასეთ პასიურ ბრძოლას, მეტოქის სრულ უინიციატივობასა და დაბნეულობას.

ლენინგრადის „სპარტაკთან“ ან კიევის „სტროიტელთან“ წაგება, პირველ ყოვლისა, ამ გუნდების სიმძლიერით აიხსნება. „კალევი“ მარცხს, როგორც ჩანს, ამ საერთო გასაღებში ვერ მიუღწევს. იგი უფრო ღრმა მიზეზებითაა გამოწვეული და ამდენად ერთობ დამაფიქრებელია. ერთი თამაში გუნდს შეიძლება არ გამოუვიდეს, თავიდანვე მოიწვევს რაღაც მკაფიოში და სანამ მიზეზს მიაგნებ, დრო თვალსა და ხელს შუა გაგვარდება. მაგრამ ამ კონკრეტული შემთხვევის პირველ პერიოდში არაფერი ჩანდა საგანგაშო: „დინამომ“ არც ისე ურთოვლო დაიწყო შეხვედრა, შემდეგ ინიციატივა მეტოქემ ჩამოართვა, ტაიმის მიწურულს კი წონასწორობა აღდგა.

ლი ყოველი ბურთი ხომ მათ გამოქონდათ პირითი საზიდან? ამ სამწუთიან პერიოდში დინამოელებმა იმის ნათელი მაგალითი მოგვცეს, თუ როგორ არ უნდა ითამაშო კალათბურთი. ამ მოკლე დროში დაშვებული შეცდომების უბრალო ჩამოთვლა კი შორს წაგვიყვანდა...

როგორ ფორმალურად უნდა იყოს „კალევი“, ერთი პრინციპი მას ძალსა და რბილობა აქვს გამარჯვებამ: მეტოქეს არამც და არამც არ აბატონს შეცდომა. „დინამომ“ მას 14 ქულა უბოძა და, ცხადია, ასეთ ძველს „კალევი“ სულიდან არ გაუშვებდა. მატჩის ბედი სწორედ მაშინ გადაწყდა, როცა თბილისელები წარმუხურვლად შეუდგნენ ქულების დარბეობას. მეორე კი... ყველაფერი დაკარგული იყო.

მ. კორჩნოი — ჩემპიონი მეოთხედ



რიბა, 25 დეკემბერი. მართალია, სსრ კავშირის ვაჟთა 38-ე საჭადრაკო ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ლენინგრადელმა დიდოსტატმა ვ. კორჩნოიმ უკვე გაიწვინა ჩემპიონის ოქროს მედალი. ეს მოხდა გუშინ, დასკენით — XXI ტურის წინ გადაღებული პარტიების დათვარებისას. კორჩნოიმ ვირტუოზულად გამოიყენა თითქმის უმნიშვნელო უპირატესობა მსოფლიო ჩემპიონ ი. ბალაშოვთან გადაღებულ პარტიაში და 64-ე სვლაზე გამარჯვა. ლენინგრადელ დიდოსტატს 15,5 ქულა დაუგროვდა და ბოლო ტურის შედეგის მიუხედავად იგი მეტოქეთაგან მიუწველემელი აღმოჩნდა (ვ. ტუშკაიოვის 14 ქულა აქვს, ლ. შტიესი — 13,5).

კორჩნოი თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი დიდოსტატია. იგი მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა მატჩების მონაწილეა. 39 წლის დიდოსტატმა მეოთხედ მოაპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი, რაც მანამდე არავის (მ. ბოტვინიკს გარდა) მიუღწევია. ამ ჩემპიონატშიც შესანიშნავად ითამაშა: 12 შეხვედრა მოიგო, 7 ყაიმით დამთავრა და მხოლოდ ერთი (ტუშკაიოვთან) წააგო. ბოლო ტურში მისი მეტოქეა ბაქოელი ვ. ბაგიროვი.

გადაღებული პარტიების დღეს სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ბალაშოვი ყაიმზე შეუთანხმდა ი. ავერბახს (მოსკოვი), ა. კარპოვმა (ლენინგრადი) მოუგო ვ. მიკენასს (ვილინუსი), ვ. სავონმა (ხარკოვი) — ვ. კარასიოვს (ლენინგრადი), კარასიოვმა — რ. ვაგანიანს (ერევანი), ო. მოსიევემა (მოსკოვი) — მ. ცეიტლინს (ლენინგრადი). ყაიმით დასრულდა ცეიტლინი — ი. ზაიციევის (მოსკოვი) და ი. პლატონოვ (კიევი) — ვ. ანტოშინის (მოსკოვი) ოქტი შეხვედრები.

დასკენით ტურის წინ კორჩნოის, ტუშკაიოვისა და შტიესის კვლავ მისდევნენ ბალაშოვი, კარპოვი, სავონი და ა. გიპსლისი (რიგა) — 11,5-11,5 ქულა.

ს უ რ ა თ ე: ვ. კორჩნოი, გ. შეჟილიძის ფოტო.

მიმდინარე ჩემპიონატში „კალევი“ არასტაბილურად ითამაშობს: თბილისში ჩამოსვლამდე მან 5 მატჩი წააგო და მხოლოდ სამჯერ გაიმარჯვა. მაგრამ წაგებაც არის და წაგებაც! ცსკა-სთან, კიევის „სტროიტელთან“ ან მოსკოვის „დინამოსთან“ ქულების დაკარგვას თბიქტური გამართლება თუ შეიძლება მოუშენებო. ყოველად გაუგებარი იყო ესტონელთა მარცხი კიევის არმიელებთან და მინსკის რტს-თან (სხვათა შორის, ბელორუსიელები პირველ წრეს ამ ერთადერთი გამარჯვებით ამთავრებენ). ასეთი გაუთვალისწინებელი ჩავარდნები „კალევის“ ბიოგრაფიაში უწინ არ შეიმჩნეოდა. პირიქით, სუსტებს იგი მუდამ მუსრს ავლებდა და თუ კი ლიდერებთან პასიური ბალანსი ჰქონდა, სუსტებთან დავროვილი ქულების წყალობით ცხრილის ზედა ნახევარში ინარჩუნებდა ადგილს.

რა კონკრეტული გეგმით ჩამოვიდნენ ესტონელები თბილისში, რა თქმა უნდა, არ ვიცით, მაგრამ გუშინწინდელი მატჩის შედეგი მათთვის მოულოდნელი რომ იყო, ეს ცხადია. ისე ნუ გამოგებთ, თითქოს ესტონელთა განზრახვა

მეორე ტაიმის პირველივე წუთზე ბოლქვაძისა და ქორქიას ზუსტი სროლების შემდეგ თბილისელები 3 ქულით დაწინაურდნენ. ბრძოლის სიუჟეტით თითქოს ამ გზით უნდა განვითარებულიყო, მაგრამ მოხდა საოცარი გაარდაქმნა: სულ რაღაც სამიოდე წუთში „კალევი“ ზედისედა 14 ქულა აიღო!

უპრეტენდენტო ფაქტია თუნდაც იმიტომ, რომ ამ 3 წუთის მანძილზე, სულ ცოტა, დინამოელები ბურთის შეადგერ ფლობდნენ (მეტოქის ჩაგდება-


ლი ყოველი ბურთი ხომ მათ გამოქონდათ პირითი საზიდან? ამ სამწუთიან პერიოდში დინამოელებმა იმის ნათელი მაგალითი მოგვცეს, თუ როგორ არ უნდა ითამაშო კალათბურთი. ამ მოკლე დროში დაშვებული შეცდომების უბრალო ჩამოთვლა კი შორს წაგვიყვანდა...

გადასხედით „დინამოს“ შემადგენლობას: განა აკლია მას ოსტატობა ან გამოცდილება, განა მას სჭირდება იმის შესწავლა, რომ კალათბურთი, ისევე როგორც სხვა სახეობები, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, თუ გენეტიკური, ნებრები ბრძოლაა და რომ ამ ბრძოლაში გამარჯვება მუდამ იმის მხარესაა, ვინც უფრო სწრაფად და რეალისტურად მიუღწევს ამ თუ იმ კონკრეტული ამოცანის გადაჭრას. მარტოდენ სახელით, ავტორიტეტით ვეღარავის დაუფრთხობ ძილს, ვინაიდან ძალა აღმართს ხნავს...

6. გუბუშვილი.

ს უ რ ა თ ე: რა არ ხდება ბრძოლის დროს, ანუ როგორ აღმოჩნდა „კალევის“ მოთამაშე „თამაშარე მდლომარეობაში“.

მ. ზარგარიანის ფოტო.



რალფი ბრუნდება?

სკობილი ზანგი სპორტსმენი რალფ ბოსტონი, რომელმაც ამ ერთი წლის წინ თავი დაანება სპორტს და სატელევიზიო კომპანიაში დაიწყო სამსახური, მოყვარული ათლეტის უფლებებშია აღდგენილი. ასე გადაწყვიტა ამერიკის შეერთებული შტატების სამოყვარული ათლეტური კავშირის ხელმძღვანელობამ სან-ფრანცისკოში გაიმართულ სხდომაზე.


... წლეულს ივლისში, როცა ლენინგრადის სტადიონზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა ტრადიციული მატჩის დროს სიგარტზე მტკომელთა ახარეზობას უყურებდა, რ. ბოსტონს აღმოხდა: „აი, ნახავთ — მალე დავუბრუნდები სპორტს და ამ უმარჯობებს ვაჭობებ. ყოველ შემთხვევაში, მათთან არ წავეგებ. ვარჯიშის დროს მე უფრო შორს ვბტები!“

ეს ურიგო ამბავი როდია: მძლეოსნობის მოყვარულებს შეუძლიათ ამ ბრწყინვალე მტკომელთან ახალი შეხვედრების იმედი იქონი-

ონ. მაგრამ ეს საქმე არც ისე იოლია. ბოსტონი ხომ ტელეკომუნიკატორად მუშაობდა (ლენინგრადშიც ერთ-ერთი ამერიკული ტელეკომპანიის „გუნდის“ წევრად მოგვევლინა), ამგვარი ამოღუა კი სპორტსმენის სახლის, მისი ძველი დიდებისა და დამსახურების გამოყენებასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული და, ამდენად, შეუთავსებელია მოყვარული ათლეტის წოდებასთან. ამიტომ ზოგიერთმა ამერიკელმა უფრანლოსტმა გადაწყვიტა ბოსტონის აღდგენის თაობაზე „სამოყვარული სტატუსის“ შეცვლის პირველ ნაბიჯად“ მიიჩნია.

ასეა თუ ისე, ამერიკის შეერთებული შტატების სამოყვარული ათლეტური კავშირის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება ჯერ კიდევ სათუთა: მან საერთაშორისო სამოყვარული მძლეოსნური ფედერაციის მხარდაჭერა უნდა მიიღოს.

(საქდესის კორ.), ნიუ-იორკი.



▲ ინდიანოპოლისი. ვ. კინსლემ 1000 იარღზე თავისუფალი სტილით ცხრეპაში მსოფლიოში სპონსორს საშ. კაითსო შედეგი (9.25,5) არჩნდა.

▲ კიოლნი. დახურულ სტადიონზე გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში როსენდამმა (გფრ) 60 მეტრზე თარგბენში 0,2 წამით გააუმჯობესა ბალცერის (გდრ) მსოფლიო მიღწევა: ახალი რეკორდია 8,0. ამერიკელმა ბილმა 50 მეტრზე თარგბენში 5,0 წამი აჩვენა. ეს 0,1 წამით ჩამორჩება მსოფლიო მიღწევას. ენგელმა (გფრ) ჭოკით 510 სმ სიმაღლე დაძლია. 8000 მეტრზე რბემა მოიგო უენსბურგმა (გფრ) — 8.12,0, გამუდი (ტუშისი) მას 2,2 წამით ჩამორჩა.

გ ა თ ა მ ა შ ე ბ ის ც ხ რ ი ლ ი
ძირითადი შედეგები

მდლომარეობა 28 დეკემბრისთვის

კლუბი	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.	
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	10	9	1	686	585	9
ცსკა	9	8	1	803	626	8
„სტროიტელი“ (კიევი)	9	5	4	617	608	5
„შალგირისი“ (კაუნასი)	9	5	4	705	792	5
„ბალევი“ (ტარტუ)	9	4	5	710	675	4
„დინამო“ (მოსკოვი)	8	4	4	604	589	4
„დინამო“ (თბილისი)	8	4	4	622	635	4
„გურევი“ (სპეში)	8	4	4	588	619	4
ბსპ (კიევი)	9	3	6	619	662	3
ვეშ (რიგა)	8	3	5	621	658	3
ბსპ (რიგა)	8	2	6	539	578	2
რბი (მინსკი)	9	1	8	588	665	1